წელ. პირველი | კვირა 18 ივნისი, 1906 წ. | №

ჯვარი ვაზისა

გამოდის ყოველ კვირის ღირს 3 მ. წ. ც. № 10 კაპ.

რედაქცია „ჯვარი ვაზისა“ კათოლიკების ჭუჩა № 4

შინაარსი

სამღვდელოების კრება. — ქართველ კათოლიკეთათვის ეპარქიის გახსნა საქართველოში, ქ. ტფილისში. — სურათი ღვთისმშობლისა. — რომი (კორესპონდენცია). — გაბრიელ ეპისკოპოსის მიწერ-მოწერა. — საქართველოს სამღვდელოება და რუსის ეგზარხოსები. — ქართული ხელოვნება: მცხეთის ტაძარი, ანანურის ეკლესია. — მეტეხის ციხეში. — ჯავახეთი (ეტნოგრაფიული წერილი).

ქართველთ სამღვდელოების კრება

კრებამ მსჯელობა იქონია დედათა საეპარქიო სასწავლებელის შესახებ და დაადგინა, მოუმატოს საბჭოს წევრთა რიცხვს სამღვდელოების მხრივ და ამ სასწავლებლის ინსპექტორი და უფროსიც სამღვდელოების კრებამ დანიშნოს ხოლმე. არჩეულ იქმნენ საეპირქიო სასწავლებლის საბჭოს თავმჯდომარედ დეკ. ა. თოთიბაძე, წევრებად მღ. ქრ. ციცქიშვილი, ი. ჩიჯავაძე, კალ. ცინცაძე და მთ. ნ. ოქრომჭედლიშვილი. ინსპექტორად ერთხმად არჩეულ იქმნა დეკ. კორნილი კეკელიძე, ხოლო სკოლის უფროსად ენ. თავდგირიძისა. ყველანი ერთის წლის ვადით. სამღვდელოების კრებამვე დაამტკიცა პანსიონი საეპარქიო სასწავლებლისა და აირჩია კომისია, რომელმაც უნდა გამოარკვიოს თითო მოწაფე ქალს რამდენი ფული მიეცეს შესანახად. კრებამ მოისმინა „სასულიერო მოამბის“ კომისიის მოხსენება, რომლიდანაცა სჩანს, რომ ყოფილ რედაქტორს დეკ. ვოსტორგოვს 2 ათას მანეთამდის გაუფლანგავს. კრებამ აირჩია კომისია, რომელმაც პასუხის გებაში უნდა მისცეს

დეკ. ვოსტორგოვი და ფულიც გადაახდევინოს. კრებამ შემდეგი დეპეშები გაჰგზავნა სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის სახელზე:

„დღეს კავკასიის სამხედრო სასამართლო არჩევს საქმეს მინგრელსკის პოლკის 27 ქვეთა ჯარის კაცისას, რომელთაც ჰბრალდებათ სამხედრო დისციპლინის დარღვევა. სამღვდელოების კრება, იმ ეპვით შეპყრობილი. რომ ვაი თუ მათ სიკვდილით დასჯა მიუსაჯონ, ემუდარება პირველ პარლამენტს, რომ თუ ეს ხმა გამართლდა, საჩქარო ზომები მიიღოს და სიკვდილით დასჯა შესცვალოს, რადგან 24 საათის განმავლობაში მოჰყავთ ხოლმე ასეთი განაჩენი სისრულეში“.

მეორე დეპეშა:

„საქართველოს საეპარქიო სამღვდელოების კრება, უძღვნის რა სალამს რუსეთის პირველ პარლამენტის განმათავისუფლებელ მოღვაწეობას, და უსურვებს რა შეუშინებლად საქმის განგრძობას თვითმპყრობელ ბიუროკრატიის კლანჭებიდან რუსეთის განსათავისუფლებლად, ღრმად დარწმუნებულია, რომ სათათბიროს თავგანწირულ ბრძოლით გამოცხადდება სრული ამნისტია და სიკვდილით დასჯის გაუქმება, რომელსაც ვერ შერიგებია ნამდვილ ქრისტიანის ჰკუა-გონება. აგრეთვე დარწმუნებულია, რომ ამ დროს მოთხოვნილებისა მიხედვით გადასწყდება საკითხები მშრომელ ხალხთა შესახებ: აგრარული და მუშათა კითხვები. ბარბაროსულად აწიოკებულ-აკლებულ საქართველოს სამღვდელოება გულის ფანცქალით ადევნებს თვალყურს პარლამენტის გაბედულ მოქმედებას, იმედოვნებს, რომ რუსეთის ყველა მოქალაქის ცხოვრებაში ფაქტიურად განხორციელდება ყველა გვარი თავისუფლება და მათ შორის თავისუფლება სინიდისისა. რომელთანაც მტკიცე კავშირი აქვს საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენას და ეკლესიის სახელმწიფოს აპეკისაგან სრულიად განთავისუფლებას სათათბიროს ყურადღებას აქცევს სამღვდელოება იმ გარემოებასაც რომ სამღვდელო პირნი გამოუძიებლად და საქმის გაურჩეველად იგზავნებიან ჩრდილოეთ გუბერნიებში: ამ დღეებშიაც გელათის მონასტრის წინამძღვარი არქიმ. ნიკოლოზი გაიგზავნა ხარკოვის გუბერნიაში გამოუძიებლად. აკურთხოს ღმერთმა შემოქმედებითი ბრძოლა სათათბიროსი ხალხის თავისუფლების მტრებთან.“ (გაზ. „შრომა“).

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲙᲐᲗᲝᲚᲘᲙᲔᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲔᲞᲐᲠᲥᲘᲘᲡ ᲒᲐᲮᲜᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ, Ქ. ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ*).

წინა თავში ვნახეთ, რომ 1391 წ. ტფილისის ეპისკოპოსად დაინიშნა ლეონარდო ვილაკელი, მაგრამ სრულებით არ ვიცით მისმა ეპისპოპოსობამ რამდენს ხანს გასტანა და ან ვინ დაიჭირა მის შემდეგ საეპისკოპოსო კათედრა. ხოლო ერთი საბუთი შენახულა და ის საბუთი გვიჩვენებს, რომ ტფილისის ეპისკოპოსი, ივანედ წოდებული, გარდაცვლილა 1424—1425 წ. მაგრამ ჩვენ არ უწყით, თუ იმას და ხსენებულ ლეონარდო ეპისკოპოსს შუა სხვა ეპისკოპოსიც იყო, (რომლის ყოფაც ადვილად საფიქრებელია) და ან თუ რომელს წელს დაინიშნა, რადგან ივანე ეპისკოპოსის დანიშვნის შესახებაც გვაკლია საბუთები. ეს მარტო მოხსენებულია შემდეგ წერილში, რომლითაც პაპი მარტინე V, 1452 წ., ნიშნავს ტფილისის ეპისკოპოსად ივანა სანკტემიქაელელს და სადაც მოხსენებულია მიცვალება ივანე ეპისკოპოსასა, აქვე მოგყვავს წერილის უმთავრესი ნაწილი:

„პაპი მარტინე V, ჩვენს საყვარელს შვილს ივანე სანკტემიქაელელს, სატთბილისოდ აღრჩეულს, მშვიდობა და მოციქულებრივი კურთხევა... ხოლო რა შევიტყეთ სარწმუნო მოხსენებიდგან, რომ ხსენებული ტფილისის ეკლესია თავის ეპისკოპოსის ივანეს სიკვდილის შემდეგ უწყემსოდ დარჩენილა, მამობრივის მზრუნველობით შევუდექით იმ ეკლესიის საჭიროფოდ და ბედნიერათ ყურის გდებას.... ჩვენ ძმებთან გულ მოდგინა რჩევა ვყაეთ, მისთვის კარგი და სასრგებლო პირი აგვერჩია. ამიტომ თქვენდამი, რომელიც ხართ დომინიკიანების წესისა... მივაქციეთ ჩვენი ყურადღება, ყველა გარემოების შემდგომ, ძმების რჩევით, თქვენ გამოგირჩიეთ ამ ეკლესისათვის, რადგან ყოველ მხრივ ღირსი და სათნო საყოფე-

*) იხილეთ ᲯᲕᲐᲠᲘ ᲕᲐᲖᲘᲡᲐ № 11.

ლი ხართ: ამიტომ მის მწყემსად და ეპისკოპოსად გნიშნამთ; მასთანავე სრულიად გაბარებთ მის ზდუნველობასა და გამგეობას, როგორც სასულიეროს, ისე სახორციელოს მხრით. მტკიცედ ვსასოებთ და იმედი გვაქვს, უფლის შეწევნით, ხსენებული ეკკლესია თქვენის ფრთხილის ყურადღებით და ერთგულის მოვლით წარმართოთ სასარგებლოდ, აღაორძინოთ და წარმარტებისაკენ წაიყვანოთ თუ სასულიეროს და თუ სახორციელოს მხვით, რაის გამო ამ სამოციქულო წერილით ვუბრძანებთ თქვენს პატიოსნებას, რათა უფლის მიერ თქვენზე მოვლენილი ტვირთი ხსენებულის ეკკლესიისა მიიღოთ პატივი და ეცადოთ და იმოქმედოთ მის მზრუნველობასა და მართვაში გულ მოდგინედ, მორწმუნედ და სიბრძნით, ისე რომ ხსენეაულმა ეკკლესიამ განიხაროს თქვენებრ წინდახედულის ნაყოფიერის მმართველის ხელ ქვეშ ყოფითა. გარდა საუკუნო სასყიდლისა, მიიღებთ ჩვენგან და თვით სამოციქულო საყდრისაგან უხვ კურთხევასა და პატივსა. რომით 19 დეკემბერს, მღვდელ-მთავრობის მეცხრე წელსა". (1424) (1).

ამავე თარიღით პაპი სწერს ტფილისისა და მისი ეპარქიის კათოლიკებს, რათა პატივი სცენ და დაემორჩილონ ახალ ეპისკოპოსს ივანეს. ეგრეთვე სწერს სულთანიეს მთავარ ეპისკოპოსს, რათა ტფილისის ეპისკოპოსს თავისი შეშწეობა და მფარველობა არ მოაკლოს.

ტფილისის ეპისკოპოსის შესახებ სხვა საბუთებს ველარ ვპოულობთ მთელი 68 წლის განმავალობაში. იმ დროს წერილებსაც რომ მოენია ჩვენამდე, უეჭველათ საკმაო ყურადსაღები იქნებოდა. კვალად ეპისკოპოსები რომ ყოფილან ტფილისში ვიდრე 1493 წლამდე, ამას გვიმტკიცებს დალუპისგან გადარჩენილი ერთი საბუთი, რომელიც ეკუთვნის პაპს ალექსანდრე მეექვსეს. პაპი წერილით ნიშნავს მინორიტების წესის ალბერტო ენჯელს ეპისკოპოსად ტფილისის ეკკლესიისა, რომელიც უმწყემოდ დარჩენილა ივანე ეპისკოპოსის სიკვდილის შემდეგ. ესლა ვიცით მეოთხე ივანე ტფილისის ეპისკოპოსისა. იმ წერილს გარდა ჩვენამდე სხვა არც ერთ საბუთს არ მოუწვეია. წერილი ცხადად გვაჩვენებს, რომ 1425 წ. დანიშნულის მესამე ივანე ეპისკოპოსის შემდგომ ტფილისში არ შეწყვეტილა დანიშვნა ლათინის ეპისკოპოსებისა, არამედ განუმწესებიათ ისევე უკლელებლივ, როგორც XIV საუკუნში იყვნენ ერთი მეორის შემდგომ. მაგრამ, სამწუხაროდ, არ ვიცით, თუ ვინ და რავდენი ეპისკოპოსი იყო 1493 წლამდე. რადგან წერილი საკმაოდ ვრცელია და ბევრად ემგზავსება ზემოდ მოყვანილ წერილებს, აქ მოვიყვანთ მარტო იმ სიტყვებს, რაც განსხვავებულია და შეეხება განსაკუთრებით ახალ დანიშნულს ეპისკოპოსს.

„პაპი ალექსანდრე VI, საყვარელ შვილს

ღვთისმშობლის ხატი.

ხის ხატად წოდებული. გარეშემო ოქროსმჭედლობით ნახატი ხუთმეტი საკვარი ე. ი. უმთავრესნი ხიდუმლონი ჩვენი ღმერთის... განხორციელება სიტყვისა, შობა, მირქმა, ტაძრად მიყვანება, ჯვარცმა სიკვდილი, მკვდრეთით აღდგომა ამაღლება, ხელიწმიდის მოხვლა, ღვთისმშობლის მიძინება.

ალბერტო ენჯელს, სატფილისოდ აღრჩეულს მშიდობა.,. შემდგომ რა ზემო ხსენებული ტფილისის ეკკლესია იმავე ივანე ეპისკოპოსის მიცვალებით დაშთა მოკლებული მწყემსის ნუგეშის ცემას... შენდამი რომელიც ხართ მინორიტების წესისა... მიეაქცოეთ ჩვენი გონე-

ბის თვალი... ტფილისის კათედრაზე გნიშნავთ ეპისკოპოსად და მწყემსად, იმავე ეკლესიის მზრუნველობას და მართველობას მთლად თქვენ გაბარებთ, როგორც სასულიეროსა, ისე სახოლიერო საქმეებში... 18 აპრილს, მღვდელთ მთავრობის პირველ წერილს. (1493)".

აქ შევნიშნოთ, რომ ყველა ზემო ხსენებული ტფილისის ეპისკოპოსები გარდა ერთისა, დომინიკიანების ორდენისა იყვნენ. ხოლო ბოლოს განწესებული ალბერტო არის ფრანჩისკიანების ორდენისა. ეს უმნიშვნელო როდია: აქვე ვნახავთ, რომ ამ საუკუნის ნახევარს საქართველოში დომინიკიანებზე უფრო მომეტებულად ფრანჩისკიანები განმრავდენ, იმ ზომამდე, რომ ტფილისის საეპისკოპოსო, რომელიც დომინიკიანების ხელში იყო, ახლა ფრანჩისკიანების მფარველობაში გადასულა.

ჩვენ ვსთქვით, რომ ცხრა ეპისკოპოსის გარდა, სხვა არა ვიცით რა დანარჩენი ტფილისის ეპისკოპოსებისაო. ამიტომ, ვატიკანის არქივებში, რომელიც ამ წერილის უმთავრესა წყაროა, პაპების სხვა საბუთები აღარა ჰსჩანს. განრა ის აზრი, რომელიც გამოვთქვით სხვა ეპისკოპოსთა 1425 წლის შემდგომ ვიდრე 1493 წლამდე ყოფისათვის, უსაფუძლო როდია: ამას მოწმობენ ძველი მწერლებიც, (1) და კიდეც აგვიწერენ მოკლედ იმ ეპისკოპოსთა გარემოებას და სახელებს. იმ მწერალთა მოწმობის დადგარ, პაპს ნიკოლოოზ V, 1450 წ., ტფილისის ეპისკოპოსად დაუნიშნავს ალექსანდრე დომინიკიანების წესისა; პაპს პიო მეორეს 1462 წ. დაუნიშნავს ენრიკო (არ ვიცით, თუ რომელი წესის ყოფილა). იმას უწოდებენ ენრიკო პირველსა, მაგრამ ეპისკოპოსი ენრიკო მეორე უნდა იყოს, რადგან ზემოთ ვნახეთ, რომ 1382 წ. დაინიშნა პირველი ენრიკო. ის ენრიკო გარდაიცვალა იმავე წელიწადს; იმავე პიო პაპს მაშინვე, ესე იგი, 1462 წ. დაუნიშნავს ფრანჩისკიანების წესის ენრიკო ვონსტი (Wonst), რომელიც გარდაცვლილა 1469 წ.; პაპს პაველ მეორეს დაუნიშნავს ტფილისის ეპისკოპოსად (1470 — 1471) იოანე იმაქი (Jmach) აგვისტიანების წესისა; ეს ეპისკოპოსი 1476 წელსაც ცოცხალი ყოფილა. იმ დროს შემდგომ ვიდრე 1493 წლამდე აღარა ჰსჩანს, თუ ვინ და ან რავდენი ეპისკოპოსი კიდევ ყოფილა ტფილისში.

ამ ოთხი ეპისკოპოსის შესახებ არავითარი საბუთები გვაქს პაპებისა, მაგრამ არა ნაკლებ სარწმუნოა სხვა და სხვა მწერალთა აზრებიც, რადგან აქ დასახლებული ავტორები უბრალო მწერლები და მოზღაპრები არ არიან. ცხადია, იმ დროს პაპებს მათთვისაც მოუწერიათ წერილები, მაგრამ წერილებს ჩვენამდე აღარ მოუწევიათ. ბოლონდელი ოთხი ეპისკოპოსისანათ, ტფილისის ეპისკოპოსების რიცხვი ცამეტამდე ადის. ხოლო ვფიქრობთ, რომ ეპისკოპოსთა რიცხვი მეტი უნდა ყოფილიყო, რადგან, როგორც ზემოთ მოყვანილი საბუთებიდგან ცხადად ჰსჩანს, გარდაიცვლებოდა ტფილისის ეპისკოპოსი თუ არა, მაშინვე და ხშირად იმავე წელს პაპები მის მოადგილეს ნიშნავდნენ. რიცხვების გამოძიებას აღარ გამოვუდგებით, რადგან ჩვენ სამოწმებლად და ჰეშმარიტების აღსადგენათ ორი, ანუ სამი ტფილისის ეპისკოსიც კმარა. მეტი არ იქმნება რომ გარდაწყვეტით აღიაროს, რომ საქართველოში მრავალი ყოფილა კათოლიკენი და ზემოდ დასახელებულ ეპისკოპოსებს დიდი ღვაწლი მიუძღვით წ-ა ეკლესიის წინაშე საქართველოში.

ჩვენის აზრით, XV საუკუნის ქართველთ კათოლიკობის ბევრი საბუთი უნდა იყოს დაკარგული, რადგან ის ცოტა წერილები, რამაც კი, ძველის მწერლების წყალობით, ჩვენამდე მოაწია საკმაოდ გვიჩვენებს საქართველოში კათოლიკების სიმრავლეს და მათ ევროპასთან დაახლოვებულ კავშირსა. წერილთაგან უპირველესი არის პაპის კალისტო მესამის წერილი საქართველოს კათოლიკებისადმი მოწერილი, რომელიც აქვე მოგვყავს.

„პაპი კალიკსტო III. ჩვენს საყვარელ შვილთ, ყოველ ქრისტიანე მორწმუნეთ, რომლებიც ფრანგებად იწოდებიან და რომლებიც სპარსეთსა და საქართველოში სცხოვრებენ. მშვიდობა ტ მოციქულებრივი კურთხევა.

„დაბრუნდა რა ჩვენი საყვარელი შვილი, წმ. ფრანჩისკეს წესისა ბოლონიელი ლუდოვიკე, რომელიც გასულ წელს თქვენთან იყო ჩვენ ნუნციოდ, მოგვახსენა, რომ რიცხვით მრავალი ერი აღიარებთ ქრისტიანე-კათოლიკე

სარწმუნოებას. დიდათ ერთგული ხართ სამოციქულო საყდრისა, რომელზედაც ულირსნი დადგენილ ვართ, და იცავთ კათოლიკე ყველა წესებს, როგორათაც გვაუწყეს ზემო ხსენებული წესის მონაზონთა (ფრანჩისკიანთა), ასე, რომ სრულიად მისდევთ (იცავთ) რომის ეკკლესიის დაველრებასა და ჩვეულებას. ამის მოსმენაზედ სიხარულით აღვივსენით და მადლობა შევსწირეთ ღმერთსა, რომლის წყალობითაც ეგოდენ ბარბაროსთა და ურწმუნოთა სიმრავლით ან გარემოცულთა, სცანით გზა ჭეშმარიტებისა და საუკუნო ცხოვრებისა და მტკიცედ მისდევთ. ჩვენმა ნონციომ მოგვახსენა კვალად ერთი თქვენი სათხოვარი, სახელდობრ: თხოულობთ, თქვენც უფროსად და წინამძღვრად ვისაც თქვენ აირჩევთ ჩვენთაგანს (ევროპელს) ანუ თქვენთაგანს (მანდაურს), დავამტკიცოთ იგი. სიამოვნებით თანხმობას გიცხადებთ იმ პირობით კი, არჩეული პირი პატიოსანი, მეცნიერებასა, წესებსა და ქრისტიანურს ზნეობაში კარგათ გაწვრთნილი იყოს და არჩევის შემდგომ, რაც შეიძლოს მალე, წამოვიდეს სამოციქულო საყდრის მოსახილავად და წმიდათა პეტრეს და პავლეს საფლავის მოსალოცავად და თან წამოიყვანოს რავდენიმე მანდაური პირიც, რათა უკეთესად გაწვრთნილნი, კეთილი მაგამითებით აღსავსენი და ქრისტიანის სახელსა და სარწმუნოებაზე განმტკიცებულნი, გამობრუნდენ თავიანთ სამშობლოში. გარდა ამისა გავედრებთ ხსენებულ ძმა ლუდოვიკეს, ჩვენს ნონციოს, რომელიც ქრისტეს სარწმუნოების გულისთვის სხვა და სხვა ადგილებში უნდა წავიდეს, შეეწიოთ თქვენის რჩევით და მფარველობით, რათა შეიძლოს შესრულება ჩვენ მიერ მინდობილის საქმისა. რომით, 19 დეკემბერს, მღვდელთ მთავრობის მესამე წელსა. (1457-)

(შემდეგი იქნება.)

რომი

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ამ მაისის 13, 20, 27 და ივნისის 10 (ახალი სტილი) რომის ეკლესიაში დიდის ადილით შესრულდა ოცის რაოდენობამე შვილთა ზეციერ ნეტართა განდთა შორის ადრიცხვა. ამას დასთანურად ეწოდების „Beatificatio“, ესე იგი განეტარება, ანუ ნეტარად შერაცხვა.

დიდი შეტოობა იქმნება თუ ვინმე ქრისტიანმა ოფიქრის ქრისტეს ეკლესიაში წმიდანი ანუ ნეტარენი მხოლოდ პირველ საუკუნეებში იყვნენ და შემდგომ არც ეოფილან და არც იქმნებინნო. რადგან ქრისტეს ეკლესია რაც პირველში იყო, ის ახლაც და ეგრეეე დარჩება ბოლომდინ, ესე იგი ქვეყნის აღსასრულამდინ. როგორც პირველში საჭირო იყო ხალხის მოქცევა და მათი ცხონება, იგივე საჭიროება ახლაც ჰგიეს და იქმნება მარადის. ამ ჭეშმარიტების გამოსაცხადებლად იყო, რომ მაცხოვარმა უბრძანა მოციქულებს: „წარვედით ყოველსა სოფელსა, და უქადაგეთ სახარება ესე ყოველსა დაბადებულსა (მარკ. თავი 16 მუხლი 15). როგორათაც ამ დროს მოციქულნი საქადაგებლად არ წასულან ქვეყნის **ყოველ მხარეში** და არც იყვნენ ამ დროს ქვეყანაზე **ყოველი დაბადებული,** აქედგან ცხადად სჩანს, რომ ქრისტეს სახარების ქადაგება უნდა განადგებულ იყო ყოველ საუკუნეში, და ამნაირად ყოველს დაბადებულს უნდა მოსცემოდა საშუალება, რომ მოესმინა ქრისტეს სახარების ქადაგება და მით ცხონებულ იყო. მაშ ქრისტეს ეკლესიის მისია, ანუ აღნაშნულება ერთია და იგივე, და ამავე ნაირად დარჩება ბოლომდინ, როგორათაც მიიღო პირველში ქრისტესგან. მსგავსადვე როგორათაც მაცხოვარმა მოციქულთ მსმენელ—მორწმუნეს მიანაგა, რომ სახელითა მისითა „ეშმაკთა განსხმიდენ. ენათა ახალთა იტყოდენ; გუჭელთა შეეხურობდენ; დალითუ სასიკუდინე რა მე სუან, არა რა ავნოს მათ; სნეულთა ზედა ხელთა დაჭსდებენ და განცოცხლდებოდენ“. (მარკ. თავი 16 მუხ. 17—18). ესევე ძალი ანუ შეძლება მორწმუნეებში კვალად მოსძღების და მარადის იქმნება მათში, რადგან იესო ქრისტეს მოძღვრების ანუ სახარების ძალა, რომლის რწმენითაც ამ ნაირ საკვირველებათა მოქმედებდნენ, მუდამ ძლიერი და ცხოველი იქმნება მათში, მაშ ქრისტეს ეკლესიაში მორწმუნების საშუალებით, როგორც პირველში, ისე ახლა და მარადის იქმნებიან სასწაულნი ანუ ზეშთა ბუნებრივი მოვლენნი როცა ღვთის ნება იქმნება.

ქრისტეს ამაღლების შემდგომ, მოციქულებმა,

როდესაც „მრწამსი“ შეადგინეს, ეკლესიას უწოდეს „წმიდა“. თუ ესეოდა ეკლესია მოსძღვრებს, შეუბღველად უნდა იყოს ერთია და ამავე „სიწმიდეთ“, როგორც იყო ბერძულში. უამისოდ ეკლესია ადარ შეეძლება ქრისტეს ეკლესიად იწოდებოდეს, რადგან უამისოდ გადასხვავებოდა და ადარ დარჩებოდა ეგრეთი, როგორიც ქრისტემ განაწესა. ქრისტეს ეკლესია (აქ არ იგულისხმების მტერანალური შენობა, ს

ადგილი არ ჰქონოდათ მორწმუნეთა შორის. მოელს ეკლესიაში ამნაირ ჩვეულებამ მოსძლო ვიდრე შეოე საუკუნემდინ. ხოდო ამ დროს საკმაოდ დაინახეს, რომ წმიდად გაძოეკვნის საქმე დაბოლებულ იეო ბაბის მიერ. ამის შემდგომ სხვა-დასხვა დროს ბაბეებმა დიდის ალაათ შეასრულეს წმიდანებად გაძოეკვნა. რაოა ეს საქმე უფრო წესიერად წარმოებულიეო ბაბეებმა განაწესეს საგანგებო კრება, ქონგრეგაცია ტაბეგონთა, რომელიც შესდგება რვადენიმე კარდინალისა და ეპისკოპოსისა და სხვა-და-სხვა მეცნიერი ბერებისგან. ამ კრების უმთავრესი მოვალეობა არის წმიდების გაძოეკვნის საქმე. ეკლესია ამ საგანში იმარჯის არა მარტო ყველა ამ საშვალებათა, რასაც-კი კაცობრიეი სიბრძნე ჩაგონებს, არამედ თვეთ ზეშობუნებრივ შეშწეობასაც აშვალეებს, ესე იგი, წმიდად გაძოსაკვნა ბერის სიწმიდე თუ დმერთმა სასწაულებით არ გაძოაცხადა. ამასთანა ბერს ეკლესია არას დროს ბდარსებს წმიდის სახელს.

(შემდეგი იქმნება)

ეპისკოპოსის მიწერ-მოწერა

(შემდეგი, იხ. № 10 და 11)

საქართველოს ეგზარხოსს ობერ-პროკურორისაგან *)

მაისის 14, 1892 წ, № 2729.

შინაარსი თქვენი ყ"დ უსამღვდელოესობის პასუხისა ამა წლის 8 იანვარს № 2910, კავკასიის სამრევლო სკოლების შესახებ ვაცნობე სახალხო განათლების მინისტრს.

შემდეგ ამისა სტატს-სეკრეტარმა გრაფმა დელიანოვმა წერილობით მაცნობა მე შინაარსი იმ მოხსენებისა, რომელიც მან მიიღო კავკასიის სამოსწავლებლო ოლქის მზრუნველისაგან ამ საგნის შესახებ და თხოულობს ამაზე პასუხს.

ტაინი სოვეტნიკის იანოვსკის მოხსენების თანახმად, ადგილობრივ სამღვდელოებისადმი უფლების მიცემას, რომ იგინი განაგებდნენ სამრევლო და საკვირაო სკოლებს კავკასიაში, აქვს თვალსაჩინო არა სასურველი შედეგი, ვინაიდგან ეს ხელს უშლის მთავრობის სურვილს ამ კუთხის იბერიასთან ადრე შეკავშირებაში საქართველოში უმეტესი ნაწილი უმაღლესი სამღვდელოებისა ეკუთნის ქართველ ტომს. (ორი ეპარქიელი და ორიც ქორ-ეპისკოპოსი.). ; ხსენებული სკოლების თვალ-ყურის მდევნელნი ბლაღოჩინებია, მახლობელნი ხელ-მძღვანელნი კი-მღვდლები და აგრეთვე სსულიერო სასწავლებლებში სწავლა დამთავრებულნი მასწავლებლები.

ტომით რუსი კავკასიის სამღვდელოებთა შორის ცოტა მოიპოება, ქალაქებში ძლიერ ცოტაა იმისთაბა პირები, რომლებიც რიგიანად მომზადებულნი იყვნენ, რომ მათ პირნათლად შეასრულონ მასწავლებლობის დანიშნულება, ვინაიდგან მათ რიგიანათ არ იციან რუსული ენა. სოფლის სამღვდელოებთა შორის მოიპოება იმისთანა პირებიც კი, რომლებმაც სრულიად არ იციან რუსული ენა. მაშასადამე მახლობელმა ხელმძღვანელებმა სკოლისამ— მღვდლებმა თუ არ იციან რუსული ენა, როგორ უნდა უცქირონ რუსული ენის სწავლებას სკოლაში ერის-კაც მასწავლებლებმა-ქართველებმა. ზოგიერთი მათგანი, ვითომ გამსჭვალულნი ნამდვილი ქრისტიანული მისწრაფებით გულ-ახდილათ აღიარებენ, რომ დანიშნულება სამრევლო სკოლებისა კი არ არის ასწავლოს რუსული ენა და მიაღებინოს განათლება ამ ენის საშვალებით, არამედ, მათი ჰაზრით, რადგან სამღვთო წერილის წიგნები დაწერილია ქართულ ენაზე, რუსული ენა სიჭირო არ არისო. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ სკოლების თვალ-ყურის დევნა დავალებული ექნებათ ადგილობრივ ქართველ სამღვდელოებას და იმ ახალ გაზდობის ნაწილს, რომლებიც გამსჭვალულნი არიან სურვილით საქართველოს დამოუკიდებლობისა, მაშინ შესაძლებელია შეადგინოს კაცმა ჰაზრი საზოგადოთ სკოლების მიმართულებზე და მის ხასიათზე. ღრმაე რომ არის გამჯდარი ადგილობრივ სამღვდელოებაში სურვილი ,ქართული ენის გავრცელებისა სჩანს ‘ძემდეგიდან: საქართველოს (ივერიის) ტომის ხალხს ეკუთნიან: ქართველები, იმერლები, მეგრელები და სვანები. ენა პირველი ორისა ჰგავს ერთი მეორეს, მაგრამ ორი უკანასკნელისა იგრე განშორებულია ქართული ენისაგან, რომ სეა-

*) ეს არის იმ მოხსენების შინარსი, რომელმაც გამოიწვია გაბრ. ეპ. პასუხი. —

ნებს და მეგრელებს არც ერთმანეი ის გაეგებათ
რა და არც ქართველებისა და იმერლებისა.
მეგრული და სვანური ენები უფრო დაშორე-
ბულია ქართულზე, ვინემ პოლონური და ჩე-
ხური რუსულზე. — რას აკეთებს სასულიერო
წოდება და მათი სკოლები? მიმხედველი იმისა,
რომ საეკლესიო წიგნები ქართველთა ხალხისა
ქართულ ენაზეა დაწერილი, მეგრელების და
სვანების ბავშვებს, უწინარეს ყოვლისა, ასწავ-
ლონ ქართულ ენას, შემდეგ კი რუსულს. ორი
ენის სწავლება სკოლაში ორი წლის განმავლო-
ბაშა არ შეიძლება; ასწავლიან და თვალ-ყურს
ადევნებენ ქართველები, მაშასადამე თვალ-სა-
ჩინოა, იგინი, უწინარეს ყოვლისა, ზრუნავენ
თავის ქართულ ენაზე. აღნიშნული მოსაზრების
მიხედვით, რომ დაკმაყოფილებულ იქნას ქრი-
სტიანული წესი, საჭიროა გადათარგმნოს
სამღვთო წერილის წიგნები სვანურ და მეგ-
რულ ენებზე და ამ ნიადაგზე შემოღებულ
იქნას სკოლებში რუსული ენის სწავლება,
როგორც ეს ხდება საერო სკოლებში; მაგრამ
არა თუ ეს ხდებოდეს სამრევლო სკოლებში,
არამედ ადგილობრივი სამღვდელოება წინა-
აღუდგა სამასწავლებლო უწყებას გამოსცეს
ლოცვები მეგრულ და სვანურ ენებზე. — რად-
გან მეგრელებმა და სვანებმა არ იციან ქარ-
თული ენა და არა გაეგებათ რა ღვთის მსახუ-
რებისა ქართულ ენაზე ეკლესიებში არ დადიან.
ეს არის ახალი საბუთი სამღვდელოებისათვის,
რომ სვანების და მეგრელების ბავშვებს უწი-
ნარეს ყოვლისა ასწავლონ ქართულ ენას, სა-
მასწავლებლო უწყებისაგან გადათარგმნილი მე-
გრულ ენაზე ლოცვები და ლიტურგია განკი-
ცხულ იქმნა აქაური სამღვდელოებისაგან იმ
მოსაზრებით, რომ ნათარგმნებში ბევრი შეცდ-
ომა არისო და არავის მვთგანს არ უჩვენებია
ეს შეცდომები და არ უთქვამს როგორ უნდა
შესწორდეს. ქართული ენის გავრცელება აფხა-
ზთა შორის და აგრეთვე წირვა-ლოცვა ამ ენაზე
თვალ-საჩინოთ ფეხ-მოკიდებულია ამ მხარეში.
აფხაზებს, რასაკვირველია, არ ვითარი დამო-
კიდებულება არ აქვთ ქართველებთან. არა თუ
მარტო ღვთის მსახურებას ასრულებენ ქარ-
თულს ენაზე. არამედ თვით ქრისტიანობის გამა-
ვრცელებელ საზოგადოების სკოლებშიაც ას-
წავლონ ქართულ ენას აფხაზის ბოვშებს. ამ
უკანასკნელ დროს მივიღე ახლად დანიშნულ
სოხუმის ეპისკოპოსისაგან (ტომით რუსია),
თანახმობა, რომ გამოცემულ იქნება ლოცვები
აფხაზურ ენაზე და ამასთან რუსული ენის სწავ-
ლებას განსაკუთრებული ყურადღება ექნება
მიქცეული აფხაზეთის სკოლებშია. რავდენათ
ქართველი სამღვდელოება მტრულის თვალით
უყურებს რუსული ენის სწავლებას სკოლებში
შეგვძლია დავინახოთ ბლაღოჩინის დეკანოზის
ღიმბაშიბის განცხადებიდგან: როდესაც იგი იყო
მასწავლებლად მთავრობის ორ-კლასიან ნორ-
მარულ სასწავლებელში ს. ყვირილაში, მ.
ღამბაშიბემ ვარი განაცხადა აესრულებინა კა-
ნონიერი მოთხოვნილება მთავრობისა, ესწავ-
ლებინა სამღვთო სჯული რუსულათ და შე-
მოიტანა განცხადება და თავის თავს მისცა ნება
წარმოეთქვა, რომ ამ გვარი სწავლება არა პედა-
გოგიურია, მრუდეა და მასთან ცოდვაა. — თუ-
მცა ამის უარის ყოფაც კი არ შეიძლება, რომ
ქალაქებში: თფილისში, ბაქოში და ბათუმში
არის რუსი და ქართველი მღვდლები ლირსნი
და გამოცდილნი რუსეთის ეთგულებით და
აღკვიდნი ცოდნით კარგათ წაიყვანონ სკო-
ლები. კავკასიის სამასწავლებლო ოლქის მზრუ-
ველი ჰფიქრობს, რომ აღნიშნული მაგალითი
დეკანოზის ღამბაშიბისა და აგრეთვე სხვა ცნო-
ბებიც მასალას ამლევს იფიქროს: მთავრობა
ძალიან ფრთხილათ უნდა მოიქცეს, რომ სა-
ქართველოს სამღვდელოებას მიანიჭოს უფლე-
ბა სწავლა-განათლების საქმეში მცხოვრებთა
შორის.

(გასაგრძობია).

საქართველოს სამღვდელოება
და რუსის ეგზარხოსები *)

1857 წ. დარიის წინამძღვარი რექტორი
არხიმანდრიტი იზრაილი კიევის აკადემიის რექ-
ტორად გადაიყვანეს; შიო მღვიმის ქონება რომ
ჩააბარა თავის მოადგილე რექტორს ფოტის,
აკლდა ძველი ვერცხლის თასი და ერთი სპი-
ლენძის ქვაბი. რაკი ქართველმა ბერებმას მო-

*) ᲩᲕᲐᲠᲘ ᲕᲐᲖᲘᲡᲐ № 11.

სთხოვეს ეს ნივთები, და მიწერ-მოწერა გაება. იზრაილმა კიევიდგან გამოუგზავნა კანტორას 1860 წ. თასის და ქვაბის ფასად შვიდი მანათი «во избѣжаніе дальнѣйшей переписки» იხ. უქაზი კანტორისა 19 მარტისა, 1860 წ. № 1143. ეს ცარცვა-აკლება კი რომ ქართველს ბერს მოეხდინა, ჯერ აწამებდნენ, დატანჯამდნენ და მერე ციმბირს იქითაც გააცილებდნენ. რუსეთში გამოუსადეგარნი, უზნეო-უნიჭონი მოიწევდნენ ჩვენსკენ ჩვენს გასაბედნიერებლად, გასანათლებლათ ნამდვილად კი თავის ბედის საცდელად. რიგიანი ადამიანი განა თავის ვეებერთელა სამშობლოში საქმეს ვერ იშოვიდა?

მა) სამერელოს მიტროპოლიტი იოანე ცაგარელი (კაცია დადიანის ძე) მიიღვალა 1822 წ. დეკემბრის 9. უწმიდესმა სინოდმა მოითხოვა კანტორისაგან 14 დეკემბრის 1836 წ. უქაზით: „იოანეს რომ 1814 წ. 1 ხარისხის ანნას კავალერაა ჰქონდა, აქ წარმოადგინეთო, თუ არა 120 მან გამოგზავნეთო“. ეგზარხოსმა ევგენმა მისწერა 28 მაის 1837 წ. სამეგრელოს ეპისკოპოსს გიორგის, მან კიდევ ცაგერის არხიმანდრიტს ანტონს, რომელმაც წარმოუდგინა მარტო ჯვარი, და ვარსკვლავი კი არა.

ეგზარხოსის იონას დროსვე (1828 წ.) გააბეს მიწერ-მოწერა მცხეთის საპატრიარქო ტაძრის განახლებისათვის. მხოლოდ 1837 წ. საჯარო ვაჭრობით გასცა კანტორამ ეს საქმე 28,696 მან. და ვიღაც სომეხმა ხეჩო დარჩილოვმა იგდო ხელთ ამისთანა წმინდა საქმის შესრულება. ეს ფულები უნდა დახარჯულიყო საქართველოს საეკლესიო მამულების შემოსავლიდგან. შესდგა კომიტეტი. ეგზარხოსი ევგენიოსი დიდი უმეცარი გამოდგა ამ საქმეში. ამ დრომდე მცხეთის ტაძარს ამშვენებდნენ და მისს სიმტკიცეს შეადგენდნენ სამხროები ჩრდილო-სამხრეთით და მთავარ ანგელოზის საყდარი, ჩრდილოეთით მიდგმული 1440 წ. აი ეს საყდარი და ორივე მიდგმული სამხროები ევგენიოსმა დაანგრევინა რკინის კეტებით; რის დანგრევაც ვერ შესძლეს, ის ნაღმებით ააფეთქებინა. ამის გამო შეირყა უზარ-მაზარი ტაძარი და მაღლა თაღებში დასქდა კიდეც. ეს იყო მიზეზი, რომ ხმა გავრცელდა საქართველოში — **„რუსის ეგზარხოსებს უნდათ ძველი საყდრების დანგრევა და ახლების აშენებაო“**. ევგენიმ ეს ბარბაროსობა არ აკმარა დიდებულ ტაძარს: აიღო და განახლების მაგიერ, ძველი აქა-იქ წამხდარი ძველი მხატვრობა (ფრესკები) თეთრათ გაალესინა და თავის სახელი წყევა-კრულვით მოსახსენებლად გახადა მთელ საქართველოში, ასეთი დათვის სამხახური იცის მამინაცვალ-დედინაცვლის დაპატრონებამ-გაბატონებამ. საკვირველია, ასე რამ დააბრმავა მაშინდელი ტფილისის და სხ. დიდი დეკანოზები და არხიმანდრიტები!.. (შემდეგი იქნება)



ქართული ხელოვნება: მცხეთის ტაძარი.

ძეტების ციხეში

კარგი ჭკვრდეს გიკვრდეს,
ავი რა გასაკვირველია!
რუსთაველი.

განა ვინ იფიქრებდა, რომ ის ბედით დაჩაგრული, ყველასაგან დავიწყებული ადამიანები, რომლებიც ქედ მოხრილი, ხმის ამოუღებლივ, დღე-ღამე მომუშავე და თავ-გადადებით ერთგული თავის საქმისა მუშაკი — ხმას

ამოიღებდნენ თავიანთ კაკობრივის უფლებაზე და იტყოდა: მეც ადამიანი ვარ! ვინ წარმოიდგენდა, რომ ის ფოსტა — ტელეგრაფის მოხელენი, რომელნიც საღამოს ბრუნდებიან შინ, როცა იმათ ცოლშვილს სძინავსთ და დილით ადრე გამოდიოდნენ, როცა იმის ცოლშვილს კიდევ ეძინა, დროს იპოვიდნენ და ხმას ამოიღებდნენ თავიანთი საშინელი გაჭირების გამოსათქმელად?! ვინ დაიჯერებდა, რომ ის საბრალო მოხელენი, რომელნი მოკლებულ იყვნენ შეძლებას უსაჭიროეს ცოტა-თუ ბევრად განვითარებულ ადამიანებსა თავის საჭირო მოთხოვნილების ქონვისა — დროს მონახავდენ და საჯაროთ გამოაცხადებდნენ თავიანთ კანონიერს ღაღად თავიანთ გაჭირებაზე?! გაჭირება მაჩვენე გაგცევას გაჩვენებო, ნათქვამია. — დიახ, აი ამ დაჩაგრულმა ადამიანებმა განვლილ წლის ბოლო თვეში გამოაცხადეს თავიანთი მოთხოვნილებანი, თავიანთ კაკობრივ უფლებაზე.

როცა მთელი რუსეთი ღელავდა, მიილტვიდა საიდკენაც, სადაც იმედი ჰქონდათ, რომ ნახავდნენ სანატრელს განთიადს, სინათლეს, მაშინ ფოსტა-ტელეგრაფის მოხელენი დადუმებული თავიან ათათ — ორკეცებულ შრომას განაგძობთნენ; როცა მთელი რუსეთის ხალხი, რაღაც თავისუფლებისკენ მიფრინავდა და დიდით ჰატარამდე — გლეხიდამ მღვდელამდე თავიანთ მოთხოვნილებას აქვეყნებდნენ მთავრობის წინაშე, ებრძოდნენ მას, მაშინ ეს მოხელები თავ ჩაღუნული ფერ მკრთალნი, ნახევრად მშიერ მწყურვალნი არ შორდებოდნენ თავიან შრომას საზოგადოების სასარგებლოთ. ამისათვის ხალხისაგან საყვედური ისმოდა.

მაგრამ, როცა უუმაღლესი ტახტიდამ 17 ოქტომბრის მოწყალე მანიფესტი საქვეყნოთ გამოცხადდა და დაჩაგრულმა მთელი რუსეთის ხალხმა თამამათ დაიძახა: „გაუმარჯოს თავისუფლებას“! და ააფრიალეს წითელი დროშები, მაშინ შრომის შვილებმა — მუშაკმა — ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებმაც თავი მაღლა აიღეს და იმათაც დაიძახეს: გაუმარჯოს თავისუფლებას, ძირს მონობა! სთქვეს: ჩვენც ადამიანები ვართო!.....

მაშინ და იმ დროს უფრო მხნეთ მოიქცნენ მოსკოვის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელები და წინწარდგნენ თავიანთი ერცელი პროექტით თავიანთ მოთხოვნილებაზე და მთელი რუსეთის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა კავშირზე; მათ მოინდომეს გავრცელება ამ კავშირისა მთელ რუსეთის იმპერიაში. —

მოსკოვის მოხელების წინადადება სწრაფად და დიდის სიამოვნებით მიიღეს ერთხმათ მთელმა რუსეთის მოხელებმა, მათ შორის თბილისის კანტორის მოხელენიც, რომლებთანაც შეერთდნენ მთელი კავკასის მათი მოძმენიც. მოსკოველებისვე წინადადებით შეადგინეს ბიურო სამაზრო და საგუბერნიო, მათშორის მოსკოვის ბიურო შეადგენდა უმთავრეს ბიუროს, რომრლსაც ექვემდებარებოდა მთელი რუსეთის ბიუროები. რა მიზეზი იყო, რომ ასე სწრაფლად და საერთოთ მიღებული იქმნა ყველასაგან ეს ძნელი საქმე? მიზეზი ის იყო, რომ იმათ მოიგონეს თვისი დაჩაგრულობა, თვისი დამცირებანი, შეურაცხყოფანი თავიანთი უძლეე და უგრძნო უფროსებისაგან.....

ამ საერთო საქმეზე მოქმედებისათვის მაშინ მთელი თბილისის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელებმა მოახდინეს ყრილობა, სადაც გადაწყვიტეს დაბოლოებით მოსკოვის კავშირთან შეერთება და აღმოარჩიეს მოსკოვში გასაგზავნათ დელეგატები და ბიუროს წევრები.

წევრებთა შორის ვიქმენი ამორჩერლი მე, თქვენი მორჩილი მონაც. თუმცა ჩემს ჯაღარა თმას და მოხუცებულებას, მასთან დიდი ხნის ნამსახურს — მოხელეს არ შეჰფეროდა გავრეულ ვიყავ და საჭირო იყო უფრო „ახალგაზდა ლონებისთვის დამეთმო ალაგი, მაგრამ რადგან ოთხასმა ამხანაგმა იკადრა ჩემი აღმორჩევა საზოგადო საქმისათვის და მასთან ჩემის საკუთარის პრინციპების მიხედვით, მე უბრალო მაყურებლობას ვერ მოვინდომებდი (იქნება ცივს ნაკარს ქვეშ ნაპერწკალი იმალებოდა), მისთვის უვარი ვერ უთხარი ჩემს დაჩაგრულ მოძმეებსა.....

შედგა ბიურო და დავიწყეთ ბრძოლა.

მაგრამ მთავრობას არ ეჯაშნიკა ეს ჩვენი ამბავი, არ გვიცნო ადამიანებათ და მოსკოვში დააპატიმრა უმთავრესი ორგანიზაციები ამ საქმისა. ამ არა სასიამოვნო მიზეზით მოსკოვის ბიუროს გამოაცხადა მთელ რუსეთის ფოსტა-

ტელეგრაფის მოხელების გაფიცვა და დაიძახეს მრავალი ერთისათვის და ერთი მრავლისათვის.... მოხელებმა დაიწყეს საერთო ᲠᲗᲝᲚᲐ. —

თუმცა ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეების გაფიცვამ შეწყვიტა უმთავრესი ძარღვი რუსეთისა, თუმცა მილიონები ზარალი მოსდიოდა მთავრობას და საზოგადოებას, მაგრამ მთავრობამ თავისი პრინციპებისაკვის შესწირა ყოველაფერი, უარი უთხრა ამ მოხელეებს მოთხოვნილებაზე.

მართალია, მთავრობამ თუმცა რეპრესიული ღონებს არ იღებდა მოხეელების წინააღმდეგ, თუმცა ხიშტებს და მათრახებს არ ხმარობდა, მაგრამ იმან ამოირჩია უფრო სასტიკი ზომა: შიმშილი! რადგან იცოდა, კარგათ მატერიალური მხარე ჩვენი მოხელეებისა, რადგან იცოდა მისდვე წყალობით, რა არა სანატრელ მდგომარეობაში ვართ, მისთვის მოგვიწყვიტა ცხოვრების სახსარი გზა ე. ი. მოგვისპო ᲯᲐᲛᲐᲒᲘᲠᲔᲑᲘᲡ მოცემა, ერთად-ერთი წყარო ჩვენის, ავლა-დიდებისა. —

ამ ძნელი მდგომარეობის თავიდგან ასაცილებლად ფოსტა-ტელეგრაფის მოხელების ბიუროს წევრებს დაევალათ ეძებნათ ცხოვრების სახსარი ოთხასი მოხელეს ცოლ-შვილისათვის. საიდგან? მათ ᲯᲔᲠ მიჰმართეს ბანკირებს, მაგრამ ამ ჩასუქებულ ბურჟუაზებს განა გააღვიძებდით. უარი გვითხრეს სესხზე, თუმცა ᲯᲔᲠ ზოგნი დაჰპირდნენ. მაშინ მივმართეთ მცხოვრებლების ქველ მოქმედებას, მაგრამ თუმცა თბილისის მცხოვრებლებმა მხურვალე თანაგრძნობა გამოუცხადეს, მაგრამ საუბედუროთ იმ დროს ეს საზოგადოებაც იმისთანად შეეიწროებული იყო ყველა მხრით და სომეხ — თათრების ელეტის ამბავით, რომ საესებით ვერ დაგვკმაყოფილეს ჩვნი მატერიალური მოთხოვნილება, მისთვის ძალიანაც სანდურავის ღირსნი არ არიან. —

გარდა ამისა ამ ბიუროსვე დაევალა ამხანაგებისაგან მიტინგების გამართვა, სადაც მოხელეები მსᲯᲔᲚᲝᲑᲓᲜᲔᲜ საერთოთ თავიანთ საჭიროებაზე. საკვირველნი არიან, უფალო სასწაულნი შენნი! ვინ ფოსტა-ტელეგრაფის მოხელენი, რომლებსაც ცხენების უფლებაც არ ჰქონდათ, და ვინ მიტინგები! მაგრამ დრონი მეფობენ და არა მეფენი: დროების მოთხოვნილებამ თავისი გაიტანა და ეს დაჩაგრულთა — დაჩაგრულნიც გამოვიდნენ ასპარეზზე, როგორც თავისუფალი მოქალაქენი და უტყუარი გულით თანაგრძობა გამოუცხადეს საერთო მოძრაობაში. სასიამოვნო სანახავი იყო ეს მიტინგები. გუშინდელი მონა, დღეს ეს მოხელეები თავიანთ მჰრჭყინვალა ღილებიანი მუნდირებით და კაკარდებით, ზოგიერთიც პირველად ჩაცმული სამოქალაქო სამოსელში — პირველად გამოსულ საზოგადო საქმეზე მსᲯᲔᲚᲝᲑᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ; ეს პირველი იმათი სიცოცხლეში შემთხვევაა, რომ მათ ერთ-მანეთს დაუძახეს სიტყვით — ამხანაგებო! მათთვის პირველი შემთხვევა იყო, რომ თავიანთ უფროსსა თამამათ, თავისულათ ელაპარაკებოდნენ! ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ თავისუფლათ ამოისუნთქეს. — აი ამ მოულოდნელმა შემთხვევამ ბევრი რაიმე გამოაშკარავა; მაშინ დავინახეთ, რომ ყველასაგან დავიწყებული, დაჩაგრული ადამიანები, რომელნიც, როგორც ზევითა ვსთქვით, თავ-ჩაღუნულნი ფერ-მკრთალნი ღოღავდნენ, დღეს წინ წარდგნენ, ხმა ამოიღეს და გამოიჩინეს მჭერ-მეტყველობის უნარი, მაშინ დავინახეთ, რომ ჩვენც შეგვიძლია დავბადოთ ჩვენი საკუთარი გამბეტტები და გარიბალდები...

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. — ᲐᲜᲐᲜᲣᲠᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ.

ეს მოძრაობა რასაკვირველია, არა ჩვეულებრივი, მოვლენა არ ეჭაშნიკა ჩვენს უფროს და მას შემდეგ ჩვენ იშვიათად ვხედავდით მისს ბედნიერ სახეს. ვერ მოინელეს ეს მართლა და არ ჩვეულებრივი გაფიცვა ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებისა უმაღლესი მოხელეებმაც რუსის მთავრობისა და დაგვიწყეს სასტიკი დევ-

ნა და წინააღვდეგობა მოხელეების მოთხოვნილების აღსრულებაზე ამ მიზეზით დიდ ხანს გაგძელდა ჩვენი გაფიცვა, ამას მოემატა საერთო გაფიცვა მთელ რუსეთისა, რომლის მიზეზით შეწყდა ყოველი კავშირი რუსეთთან და სხვა ქვეყნებთან. გაფიცვის ახსნა ჩვენ ვერ შეგვეძლო, სანამ მოსკოვის ბიუროსაგან განკარგულება არ გვექნებოდა და ჩვენგან გაგზავნილი დელეგატასაგანაც არავითარი ცნობა არ გვქონდა; ასე ვიყავით ორ წყალ შუა. გვესმოდა მრავალი ჩვენი მოხელეების რუსეთში დაპატიმრების ამბავი. ჩვენი — წევრების დატუსაღებაც შორს არ იყო, ვიცოდით, რადგან კეთილმა კაცებმა შეგვატყობინეს ეს სასიამოვნო ამბავი, ვიცოდით, რომ დურნოვოსაგან იყო ამაზე მოწერილობა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო და მის გამო, რომ ჩვენი გაფიცვა იყო მშვიდობიანი და კულტურული, ჯერ ხელს არ გვახლებდნენ. —

დადგა შავნი დღენი, როგორც ქალაქი თბილისისათვის, ისე მთელ საქართველოსთვის: ბნელმა რეაქციამ თავი მაღლა ასწია თავისი ჯოჯეხეთურის ძალით — გამოცხადდა ყოველგან სამხედრო დროის წესრიგი. ძალ-მომრეობის და თოფის წამლის სუნი ისმოდა.... ჩვენის მხრით ბრძოლა შეუძლებელი იყო ახლა.

თუმცა წინადღით ჩვენ საერთო თანახმობით ყრილობაში გადაწყვეტილი იქმნა გაფიცვის ახსნა და დეპუტაციის გაგზავნა ნამესტნიკთან ჩვენი პატარა მოთხოვნილებით, მაგრამ ჩვენი დაპატიმრება მაინც ვერ აეიცდინეთ. დაგვიდგა ის დღეც.

ერთს ქრისტეშობის დღეს, საღამოს საათის ცხრა იქნებოდა, როცა მე ვიყავ ჩემის ოჯახებისთურთ და ერთი სტუმრით, კარი დამირაკუნეს.

კანონის სახელით და ძალით! დაიძახა უცხო ხმამ და მასთან შემოჰყო მელური თავი ჟანდარმის მოხელემ, რომელს ვერაგული შეხედულება, საეკვო მელური თვალები და ძალდატანებული ცბიერი ღიმილი კარგს არას მიქადნიდნენ.

— უკაცრავათ, ნება მომეცით შემოსვლისა.

— მობძანდით.

— უმორჩილესად გთხოვ მომიტევოთ! აქ ვინა ცხოვრობს, მკითხა, მე უთხარი ჩემი სახელი ლ გვარი.

— ძალიან სასიამოვნოა, ძალიან სასიამოვნოა!

ამ სიტყვებზე კიდევ შემოვიდნენ პოლიციის და ჟანდარმის მდაბალი მოხელენი და უბნის მზრუნველი. ჩემი ოთახი გაიმსო ჭუჭყიანი ფეხებით.....

— უკაცრავათ, ნება მომეცით, ბატონო, თქვენი სახლის გაჩხრეკისა, მერწმუნეთ ეს ჩემთვის დიდი სამწუხაროა, მაგრამ რა ვქმნა, მე ჩემს მოვალეობას ვასრულებ: ასე მაქვს ნაბძანევი უ. გუბერნატორისაგან და ბატ. შ....

— ინებეთ ბატონო, უპასუხე, ჩემი სახლი ახლა თქვენ ხელშია....

დიახ, იმათ ხელში იყო! დაიწყო ჩხრეკა ძირი კუთხისა, ქაღალდებისა, წიგნებისა წერილებისა სკივრ- ტაბელებისა და შკაფებისა. დიახ ყველგან, იქ, სადაც დაცული უნდა ყოფილიყო ოჯახის სიწმინდე, ის მიწერ მოწერა სახლისა, რომელიც უნდა ითვლებოდეს ოჯახისათვის ძვირფას საუნჯეთ, გაიარა ჭუჭყიან ხელებში!.... მე ვიდექი დადუმებული და ნაღვლიანათ ვფიქრობდი: განა ამას გვიქადდა 17 ოქტომბრის მოწყალე მანიფესტი? განა ესაა პირადობის და ოჯახობის ხელ-შეუსლება!? ღმერთო უარესისაგან დავიფიქრე!.... ჩხრეკა გაათავეს, მაგრამ იმათთა სამწუხაროთ გამასაბუთებელი ვერა ნახესრა და შეწუხდნენ, რომ რაც უნდოდათ ის ვერ ნახეს.

ნება მიბოძეთ თქვენთან ცალკე ლაპარაკისა, თქვენთან მაქვს სათქმელი.

— ინებეთ, ბატონო.

— თქვენთვის სამწუხარო და ჩემთვის არა სასიამოვნო ამბავი უნდა მოგახსენოთ, მითხრა მოხელემ და თვალი თვალში ბამიყარა, გეგონებოდა, უნდა გაეგო ჩემს არსებაში და გულში რა ხდებოდა.

ბძანეთ ბატონო, მე მზად ვარ თქვენის სამსახურისათვის.

— ჩემდა საუბედუროთ უნდა დაგატუსაღოთ! ძალიან, ძალიან, ვწუხვარ, მაგრამ რა ვქმნა ამნაირი ბძანება მაქვს უფროსისაგან. გთხოვთ გამოუცხადოთ თქვენს სახლობას და მოემზადოთ.

— კარგი, ბატონო, მაგრამ, რისთვის, რა დამიშავებია?

— იმისთვის ბატონო, რომ ასე მაქვს ნაბძანევი და რადგან თქვენ ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეების ბიუროს წევრებში ითვლებით, მაგრამ ფიქრი ნუ გაქვთ, დიდხანს არ იქნებით მალე მიიღებთ თავისუფლებას.

შემდეგ ამისა მე გამოუცხადე ჩემს სახლობას ეს სამწუხარო ამბავი. რასაკვირველია ოჯახში შეიქმნა გლოვა ტირილი. ავიბარგე. ნახევარი საათის შემდეგ ჩამსვეს ეტლში ცოტა ხაბაკით, ჩასხდენ ჩემს გვერდით შეიარაღებული ჟანდარის მოხელენი და გავსწიეთ. დავემშვიდე ჩემ ოჯახს, ცოლშვილს მძიმე და სამწუხარო ფიქრები; სად მივყევარ? კიდევ დავბრუნდები თუ საუკუნოთ ვემშვიდები ჩემს სახლობას — ოჯახს?

გაიარა ეტლმა თეთრ თოვლზე სწრაფათ. გამატარეს რაღაც ჩემთვის უცნობი ქუჩები და როცა მივახლოვდი ავლაბრის ხიდთან, წინ აგვემართა საზარელი მეტეხის ციხე თავის დაკბილულ კოშკებით, სუსტათ განათებული ფანჯრებით, სადაც ახლა ასობით **თავისუფლებისათვის** — თავისუფლებას მოკლებულნი ადამიანები იტანჯებიან.....

მალე მივადექით ციხის ქვენა კარს. ხიშტებიანი თოფით დარაჯებმა გაგვიღეს ჩახა-ჩუხით — დიდი ალაყაფის კარები და შეგვიშვეს. დარაჯებმა ხმის ამოუღებლივ მიმიყვანა ციხის უფროსის კანცელიარიაში. რადგან ციხის უფროსი იქ არ იყო, რადგან გვიან იყო, მისთვის მისმა თანაშემწემ მიმიღო ჩინოვნიკურის სერიოზულის სახით. გამომკითხა, დავთარში ჩასწერა ჩემი ვინაობა, ტ წლოვანობა, გაჩხრიკა ჩემი ხაბაკი და ზედამხედველს (ნადზირატელს) უბძანა ჩემი წაყვანა. კიდევ კარების საზარელი ჩახა-ჩუხი! წამიყვანეს, გამატარეს ნახევრად განათებული დერეფნები, ეზო კარი; ჩამატარეს მრავალი ბევრი ქვეით ჩასავალი სადლაც უფსკრულში კიბები და მიმიყვანეს ერთს გრძელს პატარა ლამპარით განათებული დერეფანში; აქეთ იქით განწკრიკებული ოთახები იყურებოდნენ საზარელის თვალებით — ვებერთელა კლიტეებით და პატარა ფანჯრებით კარებზე. მძიმე სანახავია ეს კლიტეები და პატარა ფანჯრები! გვიან იყო. ტუსაღებს ეძინათ და იმ პატარა ფანჯრებიდან გამოდიოდა სუსტი სინათლე... სამარეთის სიჩუმე იყო.

შემიყვანეს მარტოთ ერთს პატარა ოთახში — კამარაში. ჩამიკეტეს დარაჯებმა გარედგან კარები და მიმატოვეს. დიდხანს ყურში მესმოდა საზარელი ჩახა-ჩუხის ხმა კარების რკინებისა... პატარა ოთახი, პატარა ლამპარი ნახევრათ განათებული, ქრისტეშობის თვის სიცივე-ჩამაფიქრეს და გულ შემაღონებელმა ფიქრებმა ამიტაცეს. რა საგებიც მქონოდა, დავიგე ქვეშ, უაბალახით შევიხვიე და ტანგაუხდელი ჩავწექი სარეცელში იმ იმედით, რომ იქნება გამთბარვიყავ ჩემის საკუთარის სუნთქვით, დიდიხნის შემდეგ ვიგრძენ ცოტა სითბო, მაგრამ ცივი და ნესტიანი ჰაერი ფილტვებში, რომ ჩამოდიოდა — ამას ძილშიაც კი ვგრძნობდი. —

მეორე დღეს ადრე ალიონ დილაზე კარების რკინების ჩხარა-ჩხურმა და დარაჯის შემოსვლამ უდროვოთ გამაღვიძეს.

დღის მკრთალი სინათლე, რომელიც შემოდიოდა ერთად-ერთი პატარა ჰურჰუტელა მაღლა ფანჯრიდამ, ნებას მავლევდა გამეცნო ჩემი ახალი სადგური. ოთახი იყო პატარა, სიგრძით ცხრა ნაბიჯი და სიგანით ხუთი; ოთახს ანათებდა ზეიდგან პატარა ფანჯარა, გაკრული რკინის ბადით და მოაჯრებით; კედლები თეთრი კირით გალესილნი, მაგრამ ალაგ-ალაგ ნესტისაგან გაჩითულნი. რკინის კრავატი, უბრალო ხის ტაბლა და პატარა ხის სკამი, ეს ყველა ესენი იატაკზე მილურსმულნი, შეადგენდნენ ოთახის მორთულობას. რადგან ერთათ ერთი პატარა ფანჯარა მაღლა იყო, მისთვის გარე ქვეყნისა — არაფერი არ სჩანდა, გარნა პატარა უბისა ლურჯი ცისა; იმისი ე. ი. ფანჯრის პირდაპირ — პატარა კარები — ზედ კარებზე ამოჭრილი პატარა ფანჯარა, საიდამაც მალ-მალე იყურებოდა დარაჯი თუ ტუსაღი რას აკეთებს და რას შვრება. —

ვიყავი მარტო. დამაწვა გულზე შავი ნისლი მწარე ფიქრებისა. დაბოლმებული, დალონებული ჩემს დაობლებულ თავს ვეკითხებოდი:

— რისთვის, რისთვის დამსაჯეს ბოროტმა ადამიანებმა? რა ვქენი? ეის რა დაუშავე? განა

ჩემი ქცევა ვისმეს რაიმეს უშავებდა? უმწარებდა? განა სამართლიანი მოთხოვნა დასასჯელი იყო? განა თხოვნა ზეცით მოვლ[illegible]ული კაცობრიობის უფლებისა სასჯელის ღირსია? რისთვის? რისთვის მე, რომელსაც მიყვარდა ბუნება, ცა, ვარსკვლავნი, მზე, მთვარე, მიყვარდნენ ჩემი ნათესავნი ცოლ-შვილნი — მოკლებულა ვარ ყოველა ამას; ვერ ვხედავ მზეს, ვერ ვხედავ მთვარეს, ვარსკვლავებს; ვერ უნდა ვხედავდე ჩემს საყვარელ სამშობლოს მთა-მინდვრებს! რისთვის ვის რა დაუშავე? ასე დიდხანს მწარე ფიქრებით დაშმაგებული ვიდექი ჩემ ოთახის შვა გულში. —

მაგრამ ის ერთი განგებით მოვლინებული მადლი, რომელსაც იმედი ჰქვია, რომელიც დაჩაგრულს არ მიატოვებს არც ჯირში, არც ლხინში და არცა საპყრობილეში — მეუბნებოდა: მოითმინე! შოთას უკვდავი სული შთამაგონებდა ჯირსა შინ ისე იყავ ვით ქვითკირი და სიცოცხლესა ნაზრახსა, სიკვდილი სჯობია სახელოვანი, ნუ შეკრთები ნუ ეცემი სულით მეუბნებოდა იმედი კიდევ, ეს კარები, რომელიც დაკეტა ბოროტი კაცის ხელით, ერთხელ გაიღება მადლიანას კაცის შთაგონებით. —

(შემდეგი იქნება)

ჯავახეთი

(ეთნოგრაფიული წერილი. შემდეგ *).

ჯავახი დედაკაცებიც სპარსულს ჰანგზედაა მორთული. ლურჯი ან წითელი ალიჩითის კალთა ღია კაბები აცვიათ გძელს ახალოხებზედ: კაბის კალთის წვერები უკან დამაგრებული აქვთ წელის ბაღებზედ, რომელიც რამდენიმეჯერ შემოხვეული აქვს ეს ბაღები, და წინ საგ[illegible] ფეშდაბლის ყურებს შეადგენს ეს ბაღები.

ყბებ შემოხვეულ თავზედ, ჭელი ან თეთრი ლეჩაქები ახურიათ; მოხუცნი სიცივეში წითლიანს თავშლებსაც იმატებენ. ხოლო ყვრა-უქმეებში, ახალგაზ[illegible]ა ქალები თავს წითელი ბაღდადები[illegible] ხვევენ და ახალ კაბებზე, ღლიავ ქვეშ, მკლავზედ, თეთრ ჯაპვებზედ გაკიდული აბაზიანები ჰკიდიათ, რასაც სიარულის დროს, სასირო ბორკილიანი პატიმარივით ჩხარიჩხური გაუდის. წინ, გულზედ ვერცხლის დიდრონი ღილები და თეთრი კოპჭებიან მოჭრელებული აქვთ.

თმა ათ-თორმეტ ნაწნავათ გადმოყრილი აქვს მხრებზედ, რაშიაც შავი ღაზლით ჩაქსოვილი აქვთ ლურჯი მძივები და აბოს კბილები (ლოკოკინას მგზავსი ძვლები) ხელები ზაფხულობით წითლათ შეღებული აქვთ ინითა და უბრალო ბეჭდები აცვიათ თითებზედ. ასეთი მორთული ქალ-შვილები კი ფეხშიშველა არიან ხშირათა. ზოგს კი ქალამანი აცვია და იშვითათ წუღებიცა.

სწავლა განათლება:

ჯავახი სწალა განათლებას სრულიათ მოშწყდარია და ის ამას მტრული თვალით უყურებს. მთელ ჯავახეთში 18 სასოფლო სკოალაა. როდესაც ამოდენივე მცხოვრები გურულთა შორის კი 100-დე სასწავლებელი ითვლება.

ჯავახ-ქართველთა სასწავლებლები მასწავლეებითურთ: 1) ხიზაბავრის ვაჟ. 2-კლ. სასწალებელ 45 მოსწავლის და ქალების 1 კლ. 90 მოსწ. უკანასკნელს ჭრა-კერვის განყოფილება აქვს. პირველი მღ. ივ. გვარამაძემ დაარსა 1882 წ. მხოლოდ 1905 წ. გაორკლასიანდა კონტ. გვარამაძის მეოხებით. მეორე ქალთა მღ. ვარძელოვმა დაარსა 1905 წ. ხოლო ჭრა-კერვის გაყოფილება პატრი მუღაშაშვილის მეოხებით გაიხსნა იმავე დროს.

2) ბარალეთის 2 კლასიანი სამეურნეო განყოფილებითა, 53 ქაროველი მოსწავლით (სომხებიც სწავლობენ); ეს სკოლა 7-8 წლის წინეთ, გადაიტანეს ახალციხის მაზრის სოფ. ადიგვინიდან, რადგან იქ ორი მოსწავლის მეტი არ ყოფილა და საზოგადოტ 8-ს არ აღმატებია.

3) კარტიკამის ერთ კლასიან 60 მოსწავლით.

ხერთვისისა-ერთ კლასიანი 40 მოსწავლით.

5) ქილდის (ქრისტ. აღ.) ერთ კლასიანი 45 მოსწავლით.

*) ჯვარი ვაზისა № 11.

6) ჩუნჩხისა (ქრისტ. აღ.) ერთ კლასიანი 70 მოსწავლით.

მთელ ჯავახეთში 12,872 მკხ. ქართველთა შორის 7 სასწავლებელია 393 მოსწავლითა.

დანარჩენი სკოლები სომეხთა შორისაა და ერთიც რასკოლნიკთა შორის, მაგ.: ალასტანში, დილიკაში, ვაჩიანში, სათხაში, კასწახში, არაგვში, ხანდოში, აზავრეთში და ეშტიაში: ამ უკანასკნელში ქალების სკოლაც არის. რასკოლნიკთა შორის ბოლდანოვკაშია.

ჯავახი სანახევროთ, ქართველი ლაპარაკობს წმინდა ქართულს; მთიული კილოთი ზოგან კი ქართული სრულებით გადავიწყებიათ და თათრულად ლაპარაკობენ, არამც არა მაჰმადიანნი, თვით ქრისტიანებიც კი. კათოლიკეთა შორის, მაგ. კარტიკამში, ბავრაში ტურცხში, თითო ხარაბში, და ხულგუმიში. (დედა ენა მოუსპიათ და თათრულათ უბნობენ). იქ სადაც ეკლესიებშიც ქადაგება და სწავლა დარიგებაც თათრულათ აქვთ. ხიზაბავრაში და ვარგავში წმინდა ქართული დღემდის დარჩენილა, ისე, როგორც მართლმადიდებელ ქართველთა შორის დაცულა დედა ენა. ქართველ მაჰმადიანთა შორის კი, იქ დარჩენიათ დედა ენა ხსოვნაში სადაც მართლმადიდებელი ქართველები ცხოვრებენ მათთან ერთად, რომელიც ცალკე ცხოვრებენ იმათ ქართული ენისა აღარა იციან რა.

ჯავახეთის ხიძელური დეკანოზობიდგან დარჩენილი.

მთელი ჯავახეთი ძველათგანვე მტერთაგან დევნული დაოხრებული რომ ყოფილა, ამას კარგათ ამტკიცებს იმ დროიდან დღემდე მოღწეული ძველი ნანგრევი შენობა ნახელოვნები. ბევრგან შეხვდებით ჯავახეთის თვალ უწვდენი მინდორის სივრცეზედ აბუშტულს სერის მსგავსს ლოდებით მოჯორგილს. ან და კედლებსავით აყვანილს. ზოგან მათ შორის ეკლესიასაც შენაშნავთ თლილი ქვის ნაგებს. ნახავთ იქვე ორმოებსავით, მიწაში გაყვანილ ხვრელებს, რომლებიც ნადირის სოროებს წაგავს და სხ. მასთანობას. ეს გახლავთ უწინდელი სოფლები, რომელიც აუოხრებიათ სპარსებს და ლეკებს, და მკვიდრნი კი ზოგი უხოციათ, რომელიც ვერ გაუმაჰმადიანებიათ, ზოგი ტყვეთ უგზანიათ ათასობით, თავიანთ სამფლობელოსაკენ და ბევრნი მათგანი გაქცეულან და გადასულან, უფრო მეტი ქართლში და მითი უხსნიათ თავი უსჯული მტერთა მკაცრი სამართლისაგან. ზოგან თუ დარჩენილან დღევანდელი ქრისტიანენი, ისინი მხოლოდ იმ ხერხით, რომ იმ დევნულობაში ისინი დამალულან მიწაში, დარნებში და იქ უცხოვიათ წლითი წლობით. ჩუმათ ამოდიოდნენ ხოლმე იმ ხვრელებიდან, მიწას მუშაობდენ, მოიყვანდენ სარჩოს, და ისევ დაიმალებოდენ ხოლმე. ისე ცხოვრებდენ რომ მტერმა არა იცოდა რა რად, და როგორ ცხოვრობდენ გაკერპებული და არ დანებებულნი მკვიდრნი!.. წარმოიდგინეთ, ეკლესიებიც კი დარნებში ჰქონდათ! ხშირათ დარნებიდანაც უომიათ და გამლელი მტერი უხოციან.

აი, ასეთ მაგალითებს მოგიყვანთ, რაიცა კარგათ ამტკიცებს დარნებში წლითი წლობით ცხოვრებას ჯავახებისას.

მაგალითებამდი უნდა აღვნიშნო, ის, რომ ხიზაბავრა რადგან ჯავახეთის საზღვარი ყოფილა როგორც დღესაც საზღვრავს დასავლეთზე ახალციხესა, ამ სოფელს უნდა სწვეოდა ყოველ უპირველეს ჯავახე[illegible] მ[illegible]ი მტერი და რასაკვირველია, ეს სოფელი დიდი მსხვერპლიც უნდა გამხდარიყო მტერისა. ეს, ასეც ყოფილა!.. მართლაც მტერს ხშირათ უოხრებია ხიზაბავრა და დიდი გაჭირების დღე მიუყენებიათ მკვიდრიათვისა. ეს რომ ასე ყოფილა ხიზაბავრილებიც იძულებული ყოფილან უფრო მეტი თავის დაცვისათვის ეფიქრათ, და კარგადაც ახოროციელებდენ ისინი თავიანთ აზრსა გაჰყავდათ სოფლის ოკობოკო მდებარეობაზედ რადგანაც ხიზაბავრა მთა-სერ-ღელიანი მიუდგომელი ადგილია, მეტაადრე მტკვრის ხეობიდგან, ღრმა სადაც ბევრი დასამალავი ხვრელები შეიძლებოდა მოეწყოთ მკვიდრათა. მიწაში დარნები, კედლებში მაღაროები და მისთანობა, რაშიაც თავს იმალავდენ წლითი წლობითა და მტერი კი ვერ აკვლევდა მათ მიწაძრომიობას და ნაცვლად იმისა, რომ ეწყინათ მკვიდრთათვის, პირიქით, თვითონვე მარცხდებოდენ უხილავი სროლისაგანა, რომელსაც ვერ არჩევდენ საიდან და როგორ კვდებოდენ თავიანთი მეომრები რაზმიდან!..

ზეგან-ბოდმოგეშანა:

ერთხელ, ერთ ხიზაბავრელს თევზი დაუჭერია მტკვარში, რომელიც დარნის ხვრელით წასულა (3 ვერსის სიშორე) წყალში. რომ დაბრუნებულა მეთევზეევ ნანადირევით, ხიზაბავრის წყაროზედ (ეს წყარო დახატულია მოგზაურის № 33) დასარეცხად. გზაში მეზობელს თონე ნთებია და ორიოდე ცხელი პური ეშოვა, რომელიც წყაროსთან ქვაზედ დაეწყო რეცხის დროს. ამ დროს მტრის ფეხის ხმა გაუგია და თავზარდაცემული შეევარდნილა დარანში, რომლის კარი ბალახ-ბულახში დამალული ყოფილა. მტერს ახალი თევზი და ცხელი პური რომ უნახია გაკვირებია და წაულაპარაკია თავისთვის: „მიკვირს და გამკვირვებია ამ სოფლის ხალხისა, ჩვენ სოფლად პური ვერ გვიშოვია სიმშილი მოვიკლათ და ისინი მიწაში სიბნელეში ცხელ პურსაც სჭამენ და თევზებსაც შოულობენო.

* * *

ერთხელ, ხიზაბავრელმა გმირმა გოგალათ გ[illegible] როდესაც დარნებში იმალებოდენ ხიზაბავრის [illegible], სადაც შორი ახლო[illegible] მტერს უნდა გაეარა. გამოაყოფინა ტუჩი თოფსა და ვისაც დაინახავდა ხოცავდა.

მტრებს უკვირდათ, ასე უჩინრათ ხოცვა ჯარისა, დიდი ზომა იხმარეს მიეგნოთ ასეთ უჩინარობისათვის ხოცვის ასაცილებლად, მარა ამაოთ...

ბოლოს დათათ გვარში გამოსულა ვიღაც და გაუცია გოგალათ გმირი და კიდეც ღალატით ჩაუდგათ მტრისთვის ხელში.

როცა ჰკლავდენ მტრები, გმირმა თხოვა ელოცა უკანასკნელათ; მიაყვანია თავი იქ (ნაჰვრეტთან) დაიჩოქა და აღაპყრო ხელები მაღლა და წარმოსთქვა: „მაღლა ღმერთო, დაბლა ჯინჭველნო, იცოდეთ, რომ ჩემი ცოდვა და სისხლი დათათა გვარმა დაიდვა და ღმერთმა ჰკითხოსო“. ამის შემდეგ სიკვდილით დასჯეს იგი. სიკვდილის შემდეგ, უნახავთ, რომ მისი შავი ბალანა ოქროსფერ ბალნათ გადაქცეოდა, ისეთი გაშშვენიერებულიყო. ამ სასწაულმა მტრები გააკვირვა. როცა უფროსებმა ნახეს ასეთი მშვენიერება, გასწყრომოდენ ჯალათებსა, თუ რისთვის მოკლეს ასეთი სამაგალითო ადამიანი.

(გასაგრძელებელი)

განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება „ჯვარი ვაზისრედაქციაში:

1) **ისტორია** ქართველ-კათოლიკეთა საქართველოში ესებობისა. **ფასი 2 მანეთი.**

2) ბესუსი სომეხ მწერლებისადმი. **ფასი 50 კაპეიკი.**

3) თან-სატარებელი წიგნაკი ლოცვათა. გამოცემა **პ. დ. პაწაძისაგან. ფასი 50 კაპ.**

4) **ლურდი** ლოცვათა **მღ. გ. ასლანიშვილის** გამოცემა. **ფასი 60 კაპ.**

მ. გ. ჯანაშვილი

საქართველოს ისტორია

ტომი I.

უუძველეს დროიდგან 985 წლ. ქრ. შ.

ამ ტომს ერთვის ა) ოთხი რუკა 1) თარგამოსის შვილების სამეფო, 2) კავკასია, 3) კავკასია და მცირე აზია მე-IV საუკ. ქრ. წ., 4) საქართველო, ჰონტო და სომხეთი II—I საუკ. ქრ. წ. და ბ) ქრონოლოგიური ტაბულები (მეფენი ქართველთა, აფხაზთა, სომეხთა, სპარსთა, ხალიფები არაბთა).

ფასი ერთი მანეთი

რედაქტორ-გამომცემელი

მ. პ. დ. მულაშვილი-პაწაძე

სტამბა „იდეალი“ (მ. [illegible]
ნიკოლოზის ქუჩა, ბილოვის სახლ[illegible]